პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ORGAN CK KP GRUZII, VERHOVNOGO SOVETA GRUZINSKOJ SSR I SOVETA MINISTROV GRUZINSKOJ SSR

1975 ოთხშაბათი 23 ივლისი № 171 (16297) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

1975

ხუთწლედი — ვადამდე!

ფეჯიბრების ფოწინავენი

თბილისი. ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის კოლექტივი ენერგიულად შრომობს გეგმისა და ნაკისრი ვალდებულებების ვადამდე შესრულებისათვის. აქ ნახევარი წლის საერთო პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის დავალება გადაჭარბებით შეასრულეს. გეგმის გადამეტებით მომხმარებელს 109 ათასი მანეთის პროდუქცია გაუგზავნეს.

საწარმოში ბევრი საამქრო და ბრიგადა დროს უსწრებს, დაკვეთებს გრაფიკის მიხედვით ასრულებს. შეჯამებულია ნახევარი წლის შედეგები. შრომის უკეთესი მაჩვენებლები აქვს № 4 ფოლადსადნობ საამქროს. ამ შრომითმა კოლექტივმა განვლილ პერიოდში გეგმას გადამეტებით 617 ტონა ფოლადი გამოადნო.

სურათზე: № 4 ფოლადსადნობი საამქროს მოწინავე მეფოლადეები ვ. ლუტიძე (მარჯვნივ) და ხ. ჯილაძის ფოტო.

ავხაზეთის მეჩაიეთა წარმატება

საუბარი საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანთან ვ. ხინთბასთან

აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მშრომელები პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით, — განაცხადა „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტთან **ი. გობეჩიასთან** საუბარში საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. ხინთბამ**, — ენერგიულად იბრძვიან მეცხრე ხუთწლედის დავალებათა ვადაზე ადრე შესრულებისათვის, სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის და თვალსაჩინო წარმატებებსაც აღწევენ.

აფხაზეთის მეჩაიეებმა, რომლებიც სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული არიან აჭარის ასსრ მშრომელებთან, დიდი წარმატება მოიპოვეს, ვადაზე ადრე — **21 ივლისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის ხუთწლიანი გეგმა — ზეგეგმითი დავალების ჩათვლით. ჩაის ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩაბარდა 256.501 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად 256.128 ტონისა.**

აფხაზეთში სულ უფრო მატულობს ჩაის მექანიზებული კრეფის ხვედრითი წონა. ხუთწლედის გასულ პერიოდში ჩაის საკრეფი მანქანებით, რომლებიც ეფუძნებიან 210-ზე მეტია, მოკრიფეს 20.200 ტონამდე ჩაის ფოთოლი. მიმდინარე სეზონში მკრეფავთა სათანადო მოწონებით სარეგბლობს ჩაის ხელით საკრეფი (იაპონური) მანქანები, რომლებიც ჯერჯერობით 207 ცალია.

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის ხუთწლიანი გეგმები წარმატებით შეასრულეს **გალის, გუდაუთის, სოხუმის, გულრიფშისა** და **ოჩამჩირის** რაიონების მეჩაიეებმა.

აფხაზეთის მეჩაიეთა საერთო წარმატებებში გადამწყვეტი სტატუა თქვეს, **გალის** რაიონის (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი **ბ. გულუა**) მეჩაიეებმა. მათ 19 ივლისისათვის შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის ხუთწლიანი გეგმა. აქ მოკრეფილია 135.500 ტონა ფოთოლი, რაც 12.500 ტონით აღემატება სახელმწიფო გეგმას.

ვალელ მეჩაიეთა პირობაა **სეზონის ბოლომდე კიდევ მოკრიფოს 9.500 ტონა „მწვანე ოქრო“.** ჩაის სიუხვისათვის ბრძოლაში სასახელო წარმატებებს მიაღწიეს გალის რაიონის სოფელ ოქმის ლენინის სახელობის, სოფელ ღუმურიშის ფარფალიას სახელობის, სოფელ ჩხოროთოლის ბარათაშვილის სახელობის კოლმეურნეობებმა, მჭურეს ციტრუსებისა და გალის ჩაის საბჭოთა მეურნეობების მწრომელებმა.

სასახელოდ იშრომეს **გუდაუთის** რაიონის მეჩაიეებმა (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი **ს. ანუა**), რომლებმაც 17 ივლისისათვის სამშობლოს უპატაკეს ჩაის ფოთლის კრეფის ხუთწლიანი გეგმის შესრულება. მათ დამზადეს 20.712 ტონა ჩაის ნედლეული ნაცვლად 20.710 ტონისა.

გუდაუთელები განსაკუთრებით თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ ხეთწლედის დამამთავრებელ წელს. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით მოკრეფეს 706 ტონით მეტი „მწვანე ოქრო“. აღსანიშნავია, რომ ნედლეულის საერთო რაოდენობიდან 83 პროცენტი პირველი ხარისხისაა, რაც 12 პროცენტით აღემატება შარშანდელ მაჩვენებელს.

ქების ღირსი არიან **ოჩამჩირის** რაიონის მეჩაიეები (პარტიის ოჩამჩირის რაიკომის პირველი მდივანი **ვ. ცუგბა**), რომლებმაც ხუთწლედის დავალება 21 ივლისისათვის გაანადღეს, მოკრიფეს 90 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი. ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს სოფელ კოჩარის კოლმეურნეობა „საქართველოს“, სოფელ ოხურეის რუსთაველის სახელობის, სოფელ ჭლოუს, აგუბედიის კოლმეურნეობებმა. კინდღის ჩაის საბჭოთა მეურნეობა მეჩაიეებმა.

ჩაის ფოთლის კრეფაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ გალის რაიონში ის ბრიგადები, რომლებსაც ხ. შონია და ვ. სარგანია ხელმძღვანელობენ. ასევე ქების ღირსი არიან მექანიზატორები ნაზიბროლა ხასაია, მზია ბუთბაია, მკრეფავები: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მაყვალა პაპასქუა, ოჩამჩირის რაიონში, — სოციალისტური შრომის გმირები ალექსანდრა ეროუბა, ცაცა ქანდარია, მკრეფავები — ელენე ახუბა, ნინული ბიგვავა და სხვები.

მეჩაიეთა საერთო წარმატებებზე საუბრის დროს არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ნედლეულის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლაში ახსებული ხარვეზები, რომლებიც ძირითადად ვლინდება კრეფის პირველ დღეებში.

ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს აგრეთვე ჩაის ცალკეული ფაბრიკების რეკონსტრუქცია-გაფართოების საშუალებების ჩატარება, მათი წარმადობის გაზრდა. ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია მეჩაიეთა საყოფაცხოვრებო მომსახურების, მათი კვების ორგანიზაციის საქმეში.

აფხაზეთის მეჩაიეები, რომლებიც სასახელოდ შრომობენ პარტიის XXV ყრილობის ღირსეულად შესახვედრად, პირობას იძლევიან **ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით წლეულს სამშობლოს მისცენ 18 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.**

ჩამჩირის რაიონის მოქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში მოწინავეა მეშვიდე ბრიგადა, რომელსაც გ. შენგელია ხელმძღვანელობს. ბრიგადამ წლეულს უნდა მოკრიფოს 74 ტონა ჩაის ნედლეული, მოკრეფილია 60 ტონაზე მეტი. სურათზე: ნოვატორი მეჩაიე გ. შენგელია.

გ. გოგოხიას ფოტო.

ენგურჰესის მშენებლობაზე

ჰიდროტურბინების მილიონები

ახლა ვარდნილმესებს მდინარეები ერისწყალი და რეჩხი კვებავენ. მიუხედავად წყლის დეფიციტის სიმცირისა, ჰესებმა უკვე გამოიმუშავეს და მრეწველობას მისცეს 100 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

ჰიდროტურბინების რიტმულ მუშაობაში თავი გამოიჩინეს ზეინკლებმა რ. ბიბლიაიამ, ვ. ეზუბაიამ, ნ. ბულისკირიამ, გ. სარუამ, მართვის ფარის მორიგემ პ. ტალახაძემ, მორიგე ინჟინერმა ზ. ნორაკიძემ და სხვებმა.

ენგურის მშენებარე ელასკადის დირექტორმა ა. **ბოგბისშვილმა ჩვენთან საუბარში თქვა:**

— 100 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგიის გამომუშავება ვარდნილმესებისათვის შეიძლება დიდი არ იყოს, მაგრამ გასათვალისწინებელია ის, რომ წყლის დეფიციტ ძალიან დაბალია. ამიტომ ჩვენი მიზანია ჰიდროტურბინები სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იყოს ენგურის გადაგდებამდე, შევუნარჩუნოთ მათ საიმედო მუშა მდგომარეობა.

ენგურის ერისწყლის კალაპოტში გადმოგდების შემდეგ ვარდნილმესებს წელიწადში შეუძლიათ გამომუშაონ 600 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია.

დღეს ვარდნილმესების 280-კაციანი კოლექტივი დგას სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე. გადაწყვეტილი აქვს წლიური დავალება ნოემბრის ბოლოსათვის გაანადღოს.

ენგურელი ზლოგინელები

გვირაბმშენის სამმართველოს კოლექტივში კარგი სახელით სარგებლობს კომპლექსური ბრიგადა, რომელსაც გამოცდილი ინჟინერი ვიტალი სვანძიე უძღვება.

ბრიგადამ ერთი თვეა რაც ნ. ზლობინის მეთოდით დაიწყო მუშაობა და გარკვეული წარმატებაც მოიპოვა. ივნისში კომპლექსური ბრიგადის წევრებმა გამოანგრიეს 3500 კუბური მეტრი კლდის ქანები და ოლორის ხიდური გადასასვლელის საყრდენ ბურჯებში ჩასხეს 1.950 კუბური მეტრი ბეტონი, ეს კი თვიურ დავალებას დიდად ჭარბობს.

ზლობინელებმა ივლისში ივალდებულეს ქვაბულის დამუშავებასთან ერთად ბურჯებში ჩასასხმელ 2.100 კუბური მეტრი ბეტონი.

ლ. ბარქაია,

გაზეთ „კომუნისტის“ საგუშაგოს უფროსი.

დავაჩქაროთ ნათესების დამუშავება

30-31 აგვისტოს მოეწყობა სიმინდის სანაფვერალო და შუალედური კულტურების ნათესების მდგომარეობის რესპუბლიკური დათვალიერება

მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებმა სახელმწიფოს უნდა მიაყიდონ 120 ათასი ტონა მარცვლეული, აქედან 35 ათასი ტონა სიმინდი საზოგადოებრივი მეცხოველეობის საკვები რესურსების შესავსებად, 40 ათას ჰექტარზე უნდა დაითესოს სანაფვერალო კულტურები, 30 ათასი ჰექტარზე — შუალედური კულტურები. ეს უზრუნველყოფს ხორცისა და რძის წარმოების მნიშვნელოვან გადიდებას.

ახლა პირობის შესრულების გადამწყვეტი დღეებია. სიმინდი თუ დროზე გათოხნე, წყალი და სასუქი არ მოაკელი, მოსავალს უხვად მოიმკი. ასე აკეთებს ყველა კარგი მზვნელ-მთესველი.

ნალენჯიხელები ბეჯითობენ

წელს აგროვადებში სიმინდი დაითესა 2.200 ჰექტარზე. მის შემდეგ ნათესებს არ აკლებენ მზრუნველ ხელს. პირველი თოხნა-კულტივაცია დროულად ჩაატარეს. ცხადია, კარგად მოვლილი ნათესისგან უხვ მოსავალს უნდა მოველოდეთ.

ნალენჯიხელებს არც მეორე თოხნა-კულტივაცია დაუგვიანებიათ. ყველა ფართობში უკვე ჩაატარეს თოხნა-კულტივაცია, საპირო რაოდენობით შეიტანეს სასუქი. ცხადია, კარგად მოვლილი ნათესისგან უხვ მოსავალს უნდა მოველოდეთ.

ყვარლელთა გარჯა

ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სიმინდი 2.589 ჰექტარზე უთესიათ. მიუხედავად ამინდის არახელსაყრელი პირობებისა მხვნელ-მთესველები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ნათესებს მოვლა განახორციელონ აგროტექნიკური ღონისძიებებით. მთავარია თოხნა-კულტივაცია, სასუქების შეტანა, მორწყვა.

ამ მხრივ რაიონის მშრომელები ბეჯითობენ. პირველი თოხნა-კულტივაცია დიდი ხანია უკვე დამთავრეს. ასევე ამ დღეებში გეგმით გათვალისწინებული 2.589 ჰექტარი ნათესების მეორე დამუშავება ხარისხიანად შესრულეს. ახლა ნათესებს საჭიროებისამებრ რწყავენ, მზრუნველ ხელს არ აკლებენ.

ყვარელები წელს სანაფვერალო კულტურებს დათესავენ 4 ათას ჰექტარზე. ეს სამუშაო მალე შესრულდება. ზოგან დათესილი მცენარის გახარება კარგია, დროზე რწყავენ და უხვი მოსავლის მიღებისათვის იბრძვიან.

დამუშავებას აგვიანებენ

ამინდის არახელსაყრელ პირობებს ვერ დაუპირისპირეს აგროტექნიკური ღონისძიებანი და ამის შედეგად თელავის რაიონის მშრომელებს დათესილი 1969 ჰექტარი სიმინდის ნათესის პირველი თოხნა-კულტივაცია (ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობებით) მიუხედავად აგროვადების გასვლისა, ჯერ კიდევ არ დაუმთავრებიათ. აღნიშნული სამუშაო შესრულებული აქვთ 87 პროცენტით.

საორთხეშია ნათესის მეორე თოხნა-კულტივაცია. ამ სამუშაოს აგროვადები **უკვე** ამოწურულია **და სამუშაო** შესრულებული აქვთ **მხოლოდ** 64 პროცენტით. სანაფვერალოდ სიმინდი დათესილია 1972 ჰექტარი, ნაცვლად 3.000 ჰექტარისა. განა ასე შეიძლება მივიღოთ უხვი მოსავალი?

შ. ბოჯუა,

„კომუნისტის“ კორ.

გეგმის გაძალვეტებით

ახალციხე. (საკ. კორ. ა. თავლიაშვილი). სტაყეო კომბინატი (დირექტორი დ. არველაძე) მშრომელებმა წარმატებით დამთავრეს მეცხრე ხუთწლედი. დამამთავრებელი წლის პირველი ნახევარი 980 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქციის ნაცვლად გამოუშვეს 1.054 ათასი მანეთის ნაწარმი, გადაჭარბებით შესრულეს პროდუქციის რეალიზაციის დავალებაც. ზეგეგმითმა მოგებამ 74 ათას მანეთს გადააჭარბა.

ავრეშუმის პარკი — სამშობლოს

□ ლაგოდეხის რაიონმა ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 039 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიაყიდა 1.184 ტონა აბრეშუმის პარკი. მარტო წელს დაამზადა 252 ტონა, 2,5 ტონით მეტი წლიურ გეგმასთან შედარებით.

პარკის დამზადება გრძელდება. „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს საქართველოს კპ ლაგოდეხის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. ბასლაშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. კაკანაძემ.

□ ყვარლის რაიონის მშრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვის წლიური გეგმა-ვალდებულება. სულ ხუთწლედის დამდეგიდან დამამზადებელმა პუნქტებმა მიიღეს 462 ტონა პარკი, ხუთწლიან გეგმაზე 52 ტონით მეტი. აბრეშუმის პარკის დამზადება გრძელდება.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საბჭოთა კავშირის გმირის სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის ამხ. ა. ა. ლეონოვის ლენინის ორდენით და „ოქროს ვარსკვლავის“ მეორე medლით დაჯილდოების შესახებ

ამერიკის შეერთებული შტატების ხომალდ „აპოლონთან“ ერთად „სოიუზ-19“ საბჭოთა ხომალდით კოსმოსური ფრენის წარმატებით განხორციელებისა და ამ დროს გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის საბჭოთა კავშირის გმირი სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ამხ. ალექსანდრე არქიპოს-ძე ლეონოვი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით და „ოქროს ვარსკვლავის“ მეორე medლით.

საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. ა. ა. ლეონოვის საგმირო საქმის აღსანიშნავად დაიდგას მის სამშობლოში ბრინჯაოს ბიუსტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1975 წ. 22 ივლისი.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საბჭოთა კავშირის გმირის სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის ამხ. ვ. ნ. კუბასოვის ლენინის ორდენით და „ოქროს ვარსკვლავის“ მეორე medლით დაჯილდოების შესახებ

ამერიკის შეერთებული შტატების ხომალდ „აპოლონთან“ ერთად „სოიუზ-19“ საბჭოთა ხომალდით კოსმოსური ფრენის წარმატებით განხორციელებისა და ამ დროს გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის საბჭოთა კავშირის გმირი სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ამხ. ვალერი ნიკოლოზის-ძე კუბასოვი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით და „ოქროს ვარსკვლავის“ მეორე medლით.

საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. ვ. ნ. კუბასოვის საგმირო საქმის აღსანიშნავად დაიდგას მის სამშობლოში ბრინჯაოს ბიუსტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1975 წ. 22 ივლისი.

სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის ა. ა. ლეონოვისათვის ავიაციის გენერალ-მაიორის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა მიენიჭოს ალექსანდრე არქიპოს-ძე ლეონოვს ავიაციის გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

ჩვენ, მეცნიერები, კონსტრუქტორები, ინჟინრები, ტექნიკოსები, მუშები და კოსმონავტები, რომლებიც ვმონაწილეობდით კოსმოსური ხომალდების — „სოიუზ-19“ და „აპოლონის“ ისტორიაში პირველი საერთაშორისო ერთობლივი ფრენის მომზადებასა და მოწყობაში, გულითად მადლობას ვუძღვნით სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ჩვენი კოლექტივებისა და ორგანიზაციების მუშაობისადმი დიდი ზრუნვისა და ყურადღებისათვის, მისალმებისა და მილოცვის გულთბილი სიტყვებისათვის.

მოხარული ვართ, რომ ჩვენი შრომა დიდად დააფასეს მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ. მთავრობამ და პირადად ამხანაგმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა, რომლებიც განუზრახლად და თანმიმდევრულად ახორციელებენ მშვიდობისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პოლიტიკას. კოსმოსში შეპირაპირება იმის მკაფიო და დამაჯერებელი მაგალითია, რომ საბჭოთა და ამერიკელი ხალხების გაერთიანებული მეცადინეობა ძირითადი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტაში სავსებით შესაძლებელია და მთელი კაცობრიობის ინტერესებს ემსახურება.

სხვადასხვა კონტინენტის კოსმოსური ხომალდების ისტორიული ერთობლივი ფრენა კოსმოსში ყველა ქვეყნის თანამშრომლობის ახალ მორიზონტებს სახავს.

აღვუთქვამთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საბჭოთა მთავრობას, რომ კვლავაც თავდადებით ვიშრომებთ, რათა შევასრულოთ სამშობლოს პასუხსაგები დავალებანი — კვლავაც განვაგრძოთ კოსმოსური სივრცის კვლევა და ათვისება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლეონიდ ი. ბრეჟნევს

ქ. ბელგრადი, მოსკოვი

პატივცემულო ბატონო გენერალურო მდივანო,

მე გულმოდგინედ ვადევნებდი თვალს „აპოლონისა“ და „სოიუზის“ ფრენის მიმდინარეობას. ორი კოსმოსური ხომალდის წარმატებული შეპირაპირება და მეცნიერული მუშაობა, რომელიც ეკიპაჟებმა გასწიეს, როცა ხომალდები შეპირაპირებული იყვნენ, გახდა ჩვენი ორი ქვეყნის მიზანსწრაფული ადამიანების რამდენიმე წლის დაძაბული მუშაობისა და თანამშრომლობის კულმინაციური მომენტი. მან სრული საფუძველი აქვთ იამაყონ თავიანთი შრომით.

ამ ფრენით ახალი ამაღლებული თავი ჩაიწერა ადამიანის მიერ კოსმოსის კვლევის ისტორიაში. ეს ადასტურებს, რომ კოსმოსში თანამშრომლობა, რომელშიც ძალები და წვლილი შეიქმნა ერთზე მეტ ქვეყანას, არათუ შესაძლებელი, არამედ სასურველიც არის. დარწმუნებული ვარ, რომ „აპოლონისა“ და „სოიუზის“ ეკიპაჟების მაგალითის სხვებიც მიბაძავენ, და ამის შედეგად კიდევ უფრო მეტ წვლილს შეიტანთ მეცნიერული შემეცნებისა და უკეთესი საერთაშორისო ურთიერთგაგების საქმეში. ასევე დარწმუნებული ვარ, რომ „აპოლონ“-„სოიუზის“ ფრენა — ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია ადამიანის მიერ კოსმოსის ათვისებისათვის ამერიკა-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობაში, რომელიც გრძელდება.

გთხოვთ ჩემი გულწრფელი მილოცვა გადასცეთ ყველას, ვისაც წილი უდევს ფრენის წარმატებულ განხორციელებაში, და განსაკუთრებით პოლკოვნიკ ლეონოვსა და ბატონ კუბასოვს. მათი პროფესიული ჩვევები და ოსტატობა უაღრესად მაღალი იყო. მე ველი შესაძლებლობას, რომ პირადად მიეულოცო მათ.

კიდევ ერთხელ მიიღეთ ჩემი გულთბილი მილოცვა „სოიუზის“ ფრენის წარმატებით დამთავრების გამო.

პატივისცემით,
ჯერალდ რ. ფორდი.

გულითადი შეხვედრა

არკალიკი, 21 ივლისი. (საკ. კორ.). ბეს შემოგვ. რაც რეალურად ცალკეულ უდიდეს ელოდ-მეტრულ სკკპ XXI ყრილობის საპატივცემულო მამაცთა — ლეონოვისა — ... ეკიპაჟებისა — ... ...

დიდი მსპარდაჭერა

„კომუნისტის“ რედაქციისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჯილდოები — გამარჯვებულებს

მსჯელობს პარტიის მახარაძის რაიკომის ბიურო...

დიდი ინტერესი გამოიწვია გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშების, ვიმპელებისა და ფასიანი საჩუქრების დაწესების შესახებ. ამ საკითხზე ბეჭდავენ სიღნაღის, წითელწყაროს, საგარეჯოს, თელავის, ყვარლის, ახმეტის, მარნეულის, გარდაბნის, ბოლნისის და სხვა რაიონების გაზეთები. ამ საკითხის განზოგადებას ფართო ადგილი დაუთმეს აფხაზეთისა და აჭარის საოლქო და რაიონულმა გაზეთებმა და სისტემატურად აშუქებენ დაწესებული ჯილდოების მოსაპოვებლად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას.

აღსანიშნავია პარტიის მახარაძის რაიკომის ბიუროს (1975 წლის 26 ივნისის) გადაწყვეტილება, რომელშიც განსახილველია: მოწონებულ იქნას გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსი პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის შეჯიბრებაში გამარჯვებული კოლექტივებისათვის გარდამავალი დროშის, ვიმპელებისა და ფასიანი საჩუქრების დაწესების შესახებ.

ბიუროს დადგენილებით შეიქმნა ეიური, რომელსაც დავალა ყოველი დეკადის მაჩვენებლებით მოახდინოს შეჯიბრებაში გამარჯვებული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის გამოვლინება და მოაწყოს მათთვის ამ ჯილდოების საჯაროდ გადაცემა. რაიონული გაზეთის რედაქციას დაევალა პროპაგანდა გაუწიოს ამ ღონისძიებას, გაზეთის ფურცლებზე სისტემატურად გააშუქოს გამარჯვებული კოლექტივების შრომითი საქმიანობა.

ამ საკითხზე რაიკომის ბიუროს დადგენილება დაიბეჭდა რაიონულ გაზეთ „ლენინის დროშაში“.

„კომუნისტის“ რედაქციისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაწესებული ჯილდოების მოპოვებისათვის სოციალისტური შეჯიბრება გრძელდება.

□

შედეგები და ამოცანები

ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ოქტომბრის რაიკომის პარტიული განათლების კაბინეტში მოეწყო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და მათი მოადგილეების თათბირ-სემინარი, რომელიც მიეძღვნა პარტიული განათლების სისტემაში გასული წლის შედეგებს და მომავალი წლის ამოცანებს.

თათბირზე ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ მომავალი სასწავლო წლიდან საგრძნობლად ფართოვდება მშრომელთა და პარტიული აქტივის ეკონომიური სწავლება. პარტიული ორგანიზაციების მდივნებს მითითება მიეცათ პარტიული განათლების ამა თუ იმ რგოლის სწორად დაკომპლექტებისა და პროპაგანდისტების შერჩევა-სწავლების საკითხებზე.

უჭლოოს ხაში პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება პროპაგანდისტებს დადასმზადებლად მოაწყობს სპეციალურ სემინარს, ლექციებისა და მოხსენებების ციკლს.

ქალის საერთაშორისო წლის ჩამტარებელ რესპუბლიკურ კომისიაში

გაიმართა ქალის საერთაშორისო წლის ჩამტარებელი რესპუბლიკური კომისიის სხდომა, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა ამ კომისიის თამჯდომარემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ძოწენიძემ.

განიხილეს შემდეგი საკითხები: 1. რესპუბლიკაში ძრავალშვილიანი დედებისა და ნაკლებუზრუნველყოფილი ოჯახებისათვის დაწესებული შეღავათების ცხოვრებაში გატარების მდგომარეობის შესახებ. 2. რეპუბლიკაში ორსულ ქალთა და ახალშობილთა სამედიცინო მომსახურების მდგომარეობის შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენებანი გააკეთეს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა ბ. ჩიხლაძემ და რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ბ. ჯაფარიძემ, მეორე საკითხზე საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ი. ზედგინიძემ, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, აჭარის ასს რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ქალის საერთაშორისო წლის ჩამტარებელ კომისიათა მუშაობის შესახებ ინფორმაციები გააკეთეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ბ. შინგუბამ, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა რ. სარიშვილმა და სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ თ. ქაბულოვამ.

საკითხების განხილვაში მონაწილეობდნენ ქალის საერთაშორისო წლის ჩამტარებელი რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარის მოადგილეები: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. სირაძე და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზიანი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ნ. ჭკადია, თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი ნ. ვასაძე, ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ე. კომახიძე, ა. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული ფრონოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნ. ჯავახიშვილი და სხვები.

სხდომაზე აღინიშნა, რომ 1974 წლის 25 სექტემბრიდან, როცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება „ნაკლებუზრუნველყოფილი ოჯახების ბავშვებისათვის დახმარების დაწესების შესახებ“, 1975 წლის 1 აპრილამდე დახმარებანი დაენიშნათ 35.509 ოჯახს, რომელებსაც მიეცათ 14.802 ათასი მანეთი.

გარდა ამისა, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების დახმარებისათვის, მათ შორის ერთდროული დახმარებისათვის ყოველწლიურად გამოიყოფა 4,5 მილიონი მანეთი.

ჩვენს რესპუბლიკაში დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება სამედიცინო დაწესებულებათა ფართო ქსელი. მათ შორის სამი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 42 საშობიაო სახლი, 47 სამეანო-გინეკოლოგიური განყოფილება, 162 ქალთა კონსულტაცია და 228 ბავშვთა პოლიკლინიკა.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ფეხმძიმე ქალებისა და ახალშობილთა სამედიცინო მომსახურების დონის ამაღლებას.

კომისიის სხდომაზე მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე შ. ყარყარაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კუპაძე.

(საქინფორმი).

□

„კომუნისტის“ კრიზისული გამოსვლის შედეგ

ნაკლოვანება გამოსწორდა

რედაქციას უპასუხებს პარტიის მცხეთის რაიკომი

„კომუნისტში“ დაიბეჭდა წერილი „ყველაზე საშარი საქმე“, რომელშიც მსჯელებული იყო პირუტყვისათვის საკვების დამზადებისა და მოსავლის აღებისათვის მზადების არსებული ნაკლოვანებანი.

პარტიის მცხეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ბარისაშვილმა რედაქციას აცნობა: პარტიის რაიკომისა და რაიისაბჭოს აღმასკომის მიერ მიღებული ღონისძიებების შედეგად წერილში აღნიშნული ნაკლოვანებანი უკვე გამოსწორებულია. რაიონში დამზადებულია 6.600 ტონაზე მეტი სენაჟი, რაც გეგმის 88 პროცენტს შეადგენს. ამ მხრივ დაწინაურდა მცხეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა. ძალისის ექსპერიმენტულ მეურნეობაში ჩაგებულია 500 ტონა სენაჟი ნაცვლად 250 ტონისა.

მცხეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში 1 ივლისისათვის მზად იყო 2 სასენაჟე ტრანშეა. შემოზიდულია და მეურნეობებს გადაეცათ თივისა და ნამჯის დასაწნეხი მავთული.

ამჟამად ყველა მარკის კომბაინები შეუფერხებლად მუშაობს. მოსავლის აღებაში რაიონის მეურნეობებს დახმარებას უწევენ საწარმოდ-დაწესებულებათა სატვირთო და თვითსაცლელი ავტომანქანები.

„ქალაქამ“ ბუნებისაგან დაჯილდოებული სოფელია

ლაკაიას რაიონში. იგი განლაგებულია მდინარე ტეხურის ხრამსა და ჭალებში, სადაც მოჰყავთ ჩაის კულტურა, მარცვლეული. გარკვეული ხვედრითი წონა აქვს მეცხოველეობასაც. ახლა ძნელია იმის სრული გათვალისწინება, თუ რა იქნებოდა ლეძაძამე, ჩაი რომ არ ჰქონოდა. სოფელში ჩაის კულტურა ყველასთვის საყვარელი, საამეყო დარგი გახდა.

ჩავიხედოთ მარტო გასულ 1974 წლის მაჩვენებლებში. ლეძაძამის გაერთიანებულმა მ. ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე კლ. თოდუა, პარტორგანიზაციის მდივანი ა. ცეკვავა) შარშან გეგმა-ვალდებულებით გათვალისწინებული 350 ტონის ნაცვლად მოკრიფა 363 ტონა ჩაის ფოთოლი, რომლის 70 პროცენტი პირველი ხარისხისა იყო. ამით შარშანწინდელ მაჩვენებელს 14 ტონით გადაამეტებს, უთუოდ სასიამოვნოა იმის აღნიშვნაც, რომ მარტო ჩაიდან სოფელმა 123.686 მანეთი წმინდა მოგება ნახა. შემცირდა ცენტნერი ჩაის ფოთლის წარმოების თვითღირებულებაც.

მაგრამ მარტო ეს შედეგები ვერ შექმნის ლეძაძამის კოლმეურნეობის „ეკონომიურ ამინდს“. ამ კოლმეურნეობის „აქილევსის ქუსლია“ მესამინდეობა, რომელიც წლითიწლობით ჩამორჩენილ დარგად ითვლება. შორს რომ არ წავიდეთ, ისევ გასული წლის შედეგებს მივმართოთ: უნდა მოეყვანათ 340 ტონაზე მეტი მარცვალი, მიიღეს 264,2 ტონა — მოსავლიანობის ზრდის დავალება 77,3 პროცენტით შესრულდა. ცენტნერი მარცვლის წარმოებაზე უნდა დაეხარჯათ 12 მანეთი და 98 კაპიკი, დახარჯეს 17 მანეთი და 99 კაპიკი. შარშან მესამინდეობაში 11.782 მანეთი იზარალეს.

მიუხედავად შარშანდელი ასეთი ჩამორჩენისა, სამინდის ყანების წლევანდელი სურათიც გვაძლევს საფუძველს ვთქვათ, რომ სათანადო დასკვნები არ გაკეთებულა იმისათვის, რომ ლეძაძამეში წლეულსაც არ იზარალონ სამინდეთ, რომელიც აქაურ გლეხკაცს უხსოვარი დროიდან მოაყავდა. ბალზე არათანაბარია № 9 ბრიგადის სამინდის ყანები მდინარე ტეხურის სანაპიროებზე — წყალსაქაჩი-მრწყველი სადგურის აღმოსავლეთით, აქ უხვადაა საშიში საკარანტინო მცენარე-სარეველა ამბროზია, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა მთელი ძალით არ მიმდინარეობს.

ბევრგან სამინდის ნათესის დიდი ნაწილი დაკნინებულია და მოუღელვლობით ამ ასაკში არ არის, როგორშიც ივლისში უნდა იყოს. ასევე სათანადოდ არ არის დამუშავებული № 2 ბრიგადაში მ. ქადარიასთვის, ო. ბოგიასთვის, ო. და ბ. არზიანებისათვის მიმაგრებული ფართობები (12 ჰექტარი). კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა საუბარში აღნიშნეს, რომ აქ, ამ მიდამოებში არც ერთ წელიწადს არ მიუღიათ სამინდის კარგი მოსავალი. ეფექტობთ, წელსაც ასე მოუვათ ლეძაძამელებს, რადგან სამინდის აგროტექნიკურ დონეზე დამუშავება დაგვიანებულია. როგორც ტყვიან, ჯერ თოხი შეტანილი არ არის დიდძალ ნაკვეთებში.

სამეურნეო წლის პირველი ნახევარი გავიდა. კოლმეურნეობის გამგეობამ არ იცის რომელ ბრიგადაში რა სურათია რენტაბელობის მხრივ, რათა შეეძლოს სათანადო ეკონომიური ანალიზის გაკეთება, კორექტივების შეტანა იქ, სადაც ეს აუცილებელია.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე ხაზგასმით ითქვა: „დაბალმა მოსავლიანობამ და მაღალმა თვითღირებულებამ შესაბამისად განაპირობა რენტაბელობის — სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ამ უმნიშვნელოვანესი სინთეზური მაჩვენებლის დაბალი დონე“. სწორედ ამ დონეზე ლეძაძამის კოლმეურნეობაში უარყოფით გავლენას ახდენს სამინდის სისტემატური დაბალი მოსავალი.

კოლმეურნეობაში იშვიათად ინერგება შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ცხოვრებით შემოწმებული ფორმები. არ ითვალისწინებენ შიდასამეურნეო ანგარიშს, რაც ბევრად ხორციელდება და კარგ შედეგებს იძლევა.

აუცილებელი ფაქტორია მეურნეობის გონივრული გაძღოლა, რომელიც ითვალისწინებს მიწისგან მაქსიმალური პროდუქციის მიღებას. ლეძაძამეში ეს არ ივრძნობა სამინდის კულტურის მიმართ.

მართალია, ლეძაძამის კოლმეურნეობა შორს არის რაიონის ცენტრიდან, იგი გეგეჭკორის რაიონს ესაზღვრება, მაგრამ მაშორეგმ ხელი არ უნდა შეუშალოს ცხაკაიას რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების მუშაკებს, სპეციალისტებს პრაქტიკული დამხმარეგა გაუწიონ ლეძაძამელებს, პირველადს პარტორგანიზაციას კოლმეურნეობის გამგეობას შრომის მეცნიერული ორგანიზაციის მოწყობაში, სამინდის მოყვანის საქმის თვითდინებაზე მიშვებას, უკონტროლობის ტენდენციის აღმოფხვრაში.

საჭიროა უკუგდებულ იქნას ჩამორჩენისადმი შეგუების, „ობიექტური მიზეზების“ მოშველიების მავნე პრაქტიკა. ლეძაძამეშიც უნდა მიიღონ სამინდის უხვი მოსავალი.

ბ. მილიუტინი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

„კომუნისტის“ ჟურნალისტის ფანქარი

დამსვენებელი რატომ არის უკმაყოფილო?

აჭარის კურორტების ავ-კარგი

ბოლოდროინდელ „ბ“ ეტაპზე ბევრ ადგილას ბევრ ადამიანს ბევრ ადგილას ბევრ ადამიანს ბევრ ადგილას ბევრ ადამიანს

22 ივლისი

ამბები • ფაქტები

საადგილო და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

ტელეტაიპის ლენტიდან

მოკლედ

ბონი

სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიუნხენის ორგანიზაციამ მოითხოვა მხხვილი ბანკებისა და ეკონომიკის ენერგეტიკული სექტორის საწარმოთა ნაციონალიზაცია. ეს მოთხოვნა ერთხმად წამოაყენეს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიუნხენის ორგანიზაციის კონფერენციაზე.

ამავე დროს კონფერენციის დელეგატებმა მოითხოვეს, რომ კონტროლი გაუწიონ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკაში კაპიტალდაბანდების პოლიტიკას, რომელსაც ადგანან ელექტროტექნიკური, ელექტრონული, ნავთობგადამამუშავებელი, მანქანათსაშენებელი და მრეწველობის სხვა დარგების საერთაშორისო კონცერნები.

კარაკასი

ლათინურ ამერიკაში, მათ შორის ვენესუელაში მოქმედი მრავალეროვნული კონცერნები, საფრთხეს უქმნიან ეროვნულ სუვერენიტეტს, განაცხადა ვენესუელის პრეზიდენტმა კარლოს ანდრეს პერესმა. მაგრამ ამ საფრთხეს, ხაზი გაუსვა მან, მალე მოეღება ბოლო, ნავთობის მრეწველობის მომავალი ნაციონალიზაცია, რომელიც ვენესუელელთა დიდი უმრავლესობის მისწრაფებებს შეესაბამება, განამტკიცებს ჩვენს ეკონომიურ დამოუკიდებლობას, უზრუნველყოფს ქვეყნის შემდგომ წინსვლას პროგრესის გზით.

ვენესუელის პრეზიდენტი გამოვიდა მმართველი პარტიის — დემოკრატიული მოქმედების მეოცე ეროვნულ კონფერენციაზე, რომელიც აქ დამთავრდა.

ჯაკარტა

129 ათასზე მეტმა კაცმა დათვალიერა საბჭოთა კავშირის პავილიონი, რომელიც პირველად მონაწილეობს ჯაკარტის ტრადიციულ ბაზრობაში. ეს ბაზრობა წელს დაუკავშირეს ინდონეზიის დამოუკიდებლობის გამოცხადების 30 წლისთავს.

პავილიონის სტენდებმა და ექსპონატებმა დამთვალიერებლებს გააცნეს სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, საბჭოთა ადამიანების ცხოვრება.

ბაზრობის მუშაობის დროს მრავალრიცხოვანი ხალხიანი კონტაქტები დამყარდა ადგილობრივ სავაჭრო ფირმებთან, სხვადასხვა სამთავრობო ორგანიზაციასთან, აგრეთვე ინდონეზიის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელმძღვანელობასთან.

ჟურნალისტი ლენინგრადიდან

მსოფლიო ტაშს უკრავს

დიდი ინტერესი „სოიუზ-აპოლონის“ ერთობლივი კოსმოსური პროგრამის წარმატებით დამთავრებისადმი

ვაშინგტონი. დიდი ინტერესითა და უურადღებით ვადევნებდით თვალს „სოიუზ-19“ საბჭოთა ხომალდის რბილად დაჯდომას, განაცხადა პიუსტონის პილოტირებული კოსმოსური ხომალდების ფრენის ცენტრის წარმომადგენელმა. ამერიკელი სპეციალისტები, დასძინა მან, დიდად აფასებენ „სოიუზის“ დაჯდომას და იგი მიაჩნიათ საბჭოთა ხომალდის ფრენის ბრწყინვალე დაგვირგვინებად.

მსოფლიოს ორმა უდიდესმა ქვეყანამ, რომლებმაც გააერთიანეს ღონისძიებანი, წარმატებით დაამთავრა სპეირთო ექსპერიმენტი კოსმოსური სივრცის კვლევაში, აღნიშნა ამერიკის მხრივ ერთობლივი ფრენის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა დ. პადიმ.

ამერიკის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის სპიკერმა კარლ ალბერტმა განაცხადა: ჩვენ უნდა მივულოცოთ ყველას, ვინც კი წვლილი შეიტანა ამ შესანიშნავ ექსპერიმენტში. „აპოლონ“-„სოიუზის“ ფრენამ ცხადყო საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ტექნიკური სრულყოფილება, რომელიც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

როგორც დედამიწაზე, ისე კოსმოსში ჩვენი ორი დიდი სახელმწიფოს ხალხებს შეუძლიათ დიდი უპირატესობანი მოიპოვონ, თუ ერთად იმუშავებენ პრობლემებზე, რომელთა გადაჭრას შეუძლია გააუმჯობესოს ყველა ადამიანის ცხოვრება, თქვა მეორე ამერიკელმა პოლიტიკოსმა მოღვაწემ სენატორმა უილიამ ჰეტაუეიმ.

ამერიკელ კომუნისტთა გაზეთი „დეილი უორლდი“ აღნიშნავს, რომ ამერიკისა და საბჭოთა კავშირის კოსმოსური ექსპერიმენტი — ეს მარტო ნიშანსვეტი როდია კოსმოსური სივრცის კვლევაში. ეს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენაა. მთელ კაცობრიობას იგი მიაჩნია დაძაბულობის შენელების სიმბოლოდ და იმის დადასტურებად, რომ სძლევენ, რაგინდ დიდიც უნდა იყოს, შეგვიძლია დაძლევით ნაყოფიერი თანამშრომლობით.

ხოზეა. გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“ აღნიშნავს, რომ კოსმოსში მომხდარმა საგულისხმო მოვლენამ საძართლიანად მიიპყრო მილიონობით ადამიანის ყურადღება და მთელი პლანეტის აღტაცება გამოიწვია. „მართლაც, — აღფრთოვანებით წერს ჯაზეთი, — რაოდენ დიდი მეცადინეობა და სიზუსტე იყო საჭირო, რომ მოემზადებინათ და განეხორციელებინათ ორი კოსმოსური ხომალდის შეხვედრა უკიდეგანო კოსმოსურ ოკეანეში! ეს ფაქტი ნათლად და დამაჯერებლად გვიჩვენებს, რის მიღწევა შეუძლია ადამიანის გენიას, როცა ღონისძიებანი ხმარდება სასარგებლო თანამშრომლობას. როცა ერთად მოქმედებენ ადამიანთა საკეთილდღეოდ.

მადრიდი. თუ მხედველობაში მიგიღებთ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობას პოლიტიკურ სფეროში, სიმბოლიკა და რეალობა სულ უფრო განუყოფელი ხდება ერთმანეთისაგან დაძაბულობის შენელების წყალობით. „სოიუზ“-„აპოლონის“ პროგრამით ფრენა — ეს ახალი რეალობაა, წერს „ვანგუარდია ეხპანიოლა“.

ოტავა. „სოიუზისა“ და „აპოლონის“ კოსმოსური ხომალდების ერთობლივი ფრენა სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპების განხორციელების მკაფიო მაგალითია, განაცხადა კანადის ელექტრიკოსთა, რადიოტექნიკოსთა და მექანიკოსთა გაერთიანებული პროფკავშირის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ჯორჯ ჰარისმა. კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასი მიესალმება საბჭოთა კავშირ-ამერიკის ექსპერიმენტს იმიტომ, რომ იგი საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის განმტკიცების ახალ პერსპექტივებს სახავს.

ტანანარივე. საბჭოთა და ამერიკელი კოსმონავტების წარმატებული და ფენომენური ერთობლივი ფრენა, — აღნიშნავს მალაგასიური გაზეთი „იმუნგუ ვუვავუ“, — უეჭველად, ხელს შეუწყობს ყველა ხალხის დაახლოებას. იგი დიდი წვლილია მშვიდობის განმტკიცებასა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარებაში. (საკდესი).

მწერალ-აკადემიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას დაკრძალვა



დიდი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას დაკრძალვა. ხურათზე: სამგლოვიარო პროცესია საქართველოს მწერალთა კავშირის სახლთან. ფოტო: ბ. ბენბუშრბის

გუშინ ქართველი ხალხი დიდი მწუხარებით გამოეთხოვა გამოჩენილ ქართველ საბჭოთა მწერალს, მხატვრული სიტყვის ბრწყინვალე ოსტატს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატს კონსტანტინე გამსახურდიას.

სამუდამოდ წავიდა ჩვენგან მწერალი და მოქალაქე, რომელსაც მგზნებარედ უყვარდა სამშობლო, თავისი ხალხი, რომლის სამსახურსაც მოახმარა მთელი თავისი ნიჭი და შთაგონება.

კონსტანტინე გამსახურდიას სახელი ამშვენებდა მრავალეროვნულ საბჭოთა ლიტერატურას. მისმა შემოქმედებამ უაღრესად კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა ხალხის სულიერ ცხოვრებაზე. მან ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში, რაგორც მისმა ერთ-ერთმა ფუძემდებელმა და კლასიკოსმა. მთელი თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის მანძილზე კონსტანტინე გამსახურდია — გამოჩენილი მწერალი და მოაზროვნე — მუდამ ლიტერატურული და საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა და თავისი შემოქმედებითი შრომით, თავდადებით ემსახურებოდა ჩვენი მხატვრული კულტურის, ქართული ლიტერატურული ენის გამდიდრებისა და განვითარების საქმეს. თავისი ხალხის მემატიანემ კონსტანტინე გამსახურდიამ შექმნა ეპიკური ისტორიული ტილოები. ამ ნაწარმოებებში იგი წარმოგვადგა როგორც მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატი, ხელოვანი და ფილოსოფოსი.

თბილისელები, რესპუბლიკის ბევრი ქალაქისა და რაიონის წარმომადგენლები მივიდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის სახლში, რათა უკანასკნელი ვალი მოეხადათ განსვენებულის წინაშე.

რესპუბლიკის მწერალთა კავშირის სახლი ძაძებშია. ყვავილებში ჩაფლულ მაღალ კვარცხლბეკზე დგას კუბო.

დარბაზში ღიერს საგლოვიარო მელოდია, უწყვეტ ნაკადად მოედინება ხალხი — ფაბრიკა-ქარხნების მუშები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, სტუდენტები, ახალგაზრდობა...

კონსტანტინე გამსახურდიას კუბოსთან საპატიო ყარაულში დგანან მისი მეგობრები, ქართველი პოეტები და მწერლები, მეცნიერები, ხელოვნების მოღვაწენი, მწერალ-აკადემიკოსის დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისიის წევრები.

აქ მოვიდნენ ამხანაგები პ. გელაშვილი, ა. ინაური, შ. კიკნაძე, გ. კოლბინი, ზ. ბატარიძე, ჯ. პატიაშვილი, ე. შევარდნაძე, გ. ძოწენიძე, გ. ჯავახიშვილი, თ. მოსაშვილი, ფ. შარტავა, ო. ჩერქეზია.

იწყება სამგლოვიარო მიტინგი. მას ხსნის მწერალ-აკადემიკოს კონსტანტინე გამსახურდიას დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია.

ქართულმა ლიტერატურამ, — თქვა მან, — მთელმა ქართულმა საბჭოთა კულტურამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა ჩვენი ლიტერატურის ერთ-ერთი მებაირაღე, ჩვენი დროის გამოჩენილი მწერალ, მხატვრული პროზის ბრწყინვალე ოსტატი, ქართული საბჭოთა ლიტერატურის მშვენება და სიამაყე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიკოსი კონსტანტინე გამსახურდია.

აღარ ძგერს გული კაცისა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე და შემოქმედება მამულის სამსახეურზოზე მიიტანა. ნახევარი საუკუნის მანძილზე იგი ქმნიდა უკვდავ მხატვრულ ტილოებს, რომლებშიც ასახულია ჩვენი ხალხის ისტორიული წარსული და აწმყო.

კონსტანტინე გამსახურდიას საუკეთესო ნაწარმოებები მშობლიური მიწა-წყლის უსაზღვრო სიყვარულს, ამაღლებულ გრძნობებს გვინერგავენ. მწერალი იყო საბჭოთა ხალხების მეგობრობისა და ძმობის მგზნებარე ქადაგი. მისი ღრმად ეროვნული და თავისთავადი შემოქმედება ახლობელი და გასაგებია ყველა ეროვნების მკითხველისათვის. ამიტომ არის, რომ მისმა წიგნებმა ესოდენ დიდი სიყვარული და აღიარება დიმსახურეს არამარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

კონსტანტინე გამსახურდიამ მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. შეშარტად ტიტანური შრომის ნაყოფია მისი შესანიშნავი რომანები და მოთხრობები, ესეები და სტატიები, ნარკვევები და თარგმანები.

წავიდა ჩვენგან კაცი, რომელიც საყოველთაო სიყვარულით სარგებლობდა. დღეს მის ნეშტს მისი სურვილისამებრ მივაბარებთ იმ მიწას, სადაც განისვენებენ მისი ოჯახის წევრები, მაგრამ მწერალი დღეიდან სამუდამოდ დაიდებს ბინას თავისი მკითხველების გულში.

სიტყვას ამბობს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გ. აბაშიძე.

დღეს ვემშვიდობებით კონსტანტინე გამსახურდიას. ამ დარბაზში, სადაც ახლა მწერალია დასვენებული, კონსტანტინე გამსახურდიას ხშირად წარმოუთქვამს მგზნებარე სიტყვა და აუდგერებია თავისი მსმენელის გული. დღეს გულისტკივილით ეთხოვებიან ლიტერატორები თავიანთ საყვარელ მწერალს.. მისი ლიტერატურული მოღვაწეობა შშობელი ხალხის ერთგული სამსახურის ნიმუშია. მის მიერ დაწერილი წიგნები გვერდს უმშვენებენ მეოცე საუკუნის მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ბელეტრისტულ ნაწარმოებებს.

ქართველ მეცნიერთა სახელით სამგლოვიარო მიტინგზე გამოვიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი პოეტი-აკადემიკოსი ი. აბაშიძე.

— დაისვენეს! თუ რომელიმე მწერალს უხდება ეს გვარი, ეს ბრალია, ალბათ, ამ ადამიანის ცხოვრებაზე, — ამბობს ორტენზია ბუსი დე ალეენდე, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ჩილეს პრეზიდენტის ქვრივი მხატვრული ფილმების საერთაშორისო ჟიურის წევრი.

— შეიძლება ითქვას, არ არსებობს არც ერთი პრობლემა, პოლიტიკური, ეკონომიური თუ სოციალური, რომელიც არ პოულობდეს გამოხატულებას კინოხელოვნებაში, — ამბობს იგი.

ფესტივალის ემბლემაზე წარწერილია სიტყვები, რომელიც განსაზღვრავენ მოსკოვის დათვალიერების აზრს: „ხელოვნების ჰუმანიზმისათვის, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის!“

ამ ლოზუნგს მე ეგრძნობ კინოს იმ მოღვაწეთა კონკრეტულ ურთიერთრობაში, რომლებიც ჩამოვიდნენ დღესასწაულზე საბჭოთა დედაქალაქში, — აღნიშნავს ჟუბელი მსახიობი რაელ რეიუელტა, — კინოფესტივალზე წარმოდგენილ საუკეთესო ფილმებში კი ეს იდეები გამოხატულია მხატვრულად.

ჟუბელი მსახიობის თვალსაზრისს იზიარებს მისი კოლეგა ამერიკის შეერთებული შტატებიდან დინ რიდი:

— მოსკოვის ფესტივალი უმნიშვნელოვანეს ფესტივალად მიმაჩნია, რადგან აქ წარმოდგენილია არა ვასართობი, არამედ სერიოზული ფილმები.

სწორედ ამასვე უსვამს ხაზს ვიტორიო ვასმანი (იტალია), რომელსაც „იხიდავს პოლიტიკური კინემატოგრაფი, მწვავე სოციალურ პრობლემებს რომ აღძრავს და მსოფლიო ხელოვნების ჰუმანისტურ ტრადიციებს რომ ავითარებს“. პორტუგალიის საზოგადოებრივი ინფორმაციის მინისტრის მოადგილის ვასკუ მარია ანუუს პინტო ლეიტესათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ აქ იგრძნო ძალდაუტანებელი შემოქმედებითი შეხვედრების ატმოსფერო.

ბევრი სტუმარი აღნიშნავს მოსკოვის ფესტივალების ერთ დიდ მნიშვნელოვან თავისებურებას — აქ ფართოდ არის წარმოდგენილი განვითარებადი ქვეყნების ახალგაზრდა კინემატოგრაფიები. და, ცხადია, მათ ეზიდავს საბჭოთა კინოს უფრო ღრმად გაცნობის შესაძლებლობა.

— განსაკუთრებით მაინტერესებს, — აღიარებს ახალი ზელანდიის ერთ-ერთი კინოფირმის დირექტორი ბარი ანპარა, — საბჭოთა ფილმები, რომლებსაც ჩვენში მაყურებლებს განსაკუთრებით მოეწონათ „ძია ვანო“, „რომანსი შეყვარებულებზე“, „დასაწყისი“ და სხვ.

ძალიან ზუსტად გამოხატა მოსკოვის კინოფორუმის მნიშვნელობა იუგოსლავმა რეჟისორმა ფეკა რისტიჩმა:

მას ახასიათებს საქმიანი და შემოქმედებითი ატმოსფერო, ამიტომ სრული უფლება გვაქვს ამ კინოფორუმს ვუწოდოთ მსოფლიო მასშტაბის დიდმნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა. (საკდესი).

საქმიან, შემოქმედებითს ატმოსფეროში

მოსკოვის კინოფესტივალი, რომელმაც ათ დღეზე მეტი ხნის წინათ აიღო სტარტი, უკვე მიუახლოვდა ფინიშს, 22 ივლისი — მხატვრული ფილმების საკონკურსო გასინჯვის დამთავრებისწინა დღე იყო, ხოლო სამაგვირო ფილმების საერთაშორისო კონკურსის ჟიურიმ ორშაბათს დამთავრა უკანასკნელი გასინჯვა, პიონერთა სასახლეში ლენინის ბორაზე უჩვენებდნენ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ესპანეთში შექმნილ კინოსურათებს.

როგორც ყოველთვის, ამ დილითაც „ცხელოდა“ სასტუმრო „როსიას“ ოქროს დარბაზში, სადაც მიმდინარეობდა მორიგი პრეს-კონფერენციები. კინოთეატრების შესასვლელებთან იყო მრავალი კინომაყურებელი იმ იმედით, რომ ეშოვნათ „ხედმეტი ბილეთი“ ფესტივალის ფილმებზე. მიმდინარეობდა საქმიანი გასინჯვები კინოგაზრის მონაწილეებისათვის, ხოლო ავტობუსებს მიჰყავდათ გასინჯვის სტუმრები მაყურებლებთან და საბჭოთა კოლეგებთან შესახვედრად.

ფესტივალი დაგვეხმარა, რომ კიდევ ერთხელ დავრწმუნებულყავით, თუ რა ძალა და გავლენა აქვს კინემატოგრაფს ადამიანის ცხოვრებაზე, — ამბობს ორტენზია ბუსი დე ალეენდე, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ჩილეს პრეზიდენტის ქვრივი მხატვრული ფილმების საერთაშორისო ჟიურის წევრი.

— ეშიდეკება ითქვას, არ არსებობს არც ერთი პრობლემა, პოლიტიკური, ეკონომიური თუ სოციალური, რომელიც არ პოულობდეს გამოხატულებას კინოხელოვნებაში, — ამბობს იგი.

ფესტივალის ემბლემაზე წარწერილია სიტყვები, რომელიც განსაზღვრავენ მოსკოვის დათვალიერების აზრს: „ხელოვნების ჰუმანიზმისათვის, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის!“

ამ ლოზუნგს მე ეგრძნობ კინოს იმ მოღვაწეთა კონკრეტულ ურთიერთრობაში, რომლებიც ჩამოვიდნენ დღესასწაულზე საბჭოთა დედაქალაქში, — აღნიშნავს ჟუბელი მსახიობი რაელ რეიუელტა, — კინოფესტივალზე წარმოდგენილ საუკეთესო ფილმებში კი ეს იდეები გამოხატულია მხატვრულად.

ჟუბელი მსახიობის თვალსაზრისს იზიარებს მისი კოლეგა ამერიკის შეერთებული შტატებიდან დინ რიდი:

— მოსკოვის ფესტივალი უმ-

ანგოლა: დამოუკიდებლობა საფრთხეში

ამჟამად ანგოლაში მიმდინარე საგანგაშო მოვლენათა არსი ძალიან ზუსტად ჩამოაყალიბა ამას წინათ ანგოლის განთავისუფლებისათვის სახალხო მოძრაობის თავმჯდომარემ ა. ნეტომ: „ამ ქვეყანაში ერთადერთი პოლიტიკური რეალობაა სერიოზული წინააღმდეგობა რეაქციულ და პროგრესულ ძალებს შორის, სრული დამოუკიდებლობის მომხრეებსა და ნეოკოლონიალისტთა მომხრეებს შორის“.

მთავარი იარაღი **რეაქციისა,** რომელიც ცდილობს სისხლისმღვრელ სამოქალაქო ომში ჩაითრიოს ანგოლა და ამ გზით ჩაშალოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, რაც ამა წლის 11 ნოემბრისთვისაა დასახული, ახლა ეგრეთ წოდებული ანგოლის განთავისუფლების ეროვნული ფრონტია ხ. რობერტოს მეთაურობით. ზაირის პრეზიდენტის მობუტუს ახლო ნათესავად და ამ ქვეყნის მთელ რიგ შემოსავლიან კომპანიათა მფლობელმა ხ. რობერტომ უკვე დიდი ხანია თავისი ინტერესები დაუკავშირა აფრიკის ამ რაიონში მოქმედი ამერიკის კომპანიების ინტერესებს.

ახლა ანგოლის **განთავისუფლების** ეროვნული ფრონტის ხელმძღვანელებისა და მათ ზურგს ამოფარებული ფრენების მთავარი მიზანია არ დაუშვან ნამდვილად დამოუკიდებელი დემოკრატიული ანგოლის შექმნა და პირობები, რათა უცხოთის მონოპოლიებმა კვლავინდებურად ძარცვონ აფრიკის ეს უმდიდრესი ქვეყანა, მისი ნავთობი და ალმასი, სპილენძი და რკინა.

ამ მიზნის მისაღწევად ანგოლის განთავისუფლების ეროვნული ფრონტი უკანასკნელი თვეების მანძილზე ელტს ანგოლის განთავისუფლებისათვის სახალხო მოძრაობის მომხრეებს, ნამდვილად სახალხო მოძრაობის მომხრეებს, **რომელიც** ანტიიმპერიალისტურ **პოლიტიკას** ადგას და ანგოლის დამოუკიდებლობისათვის იბრძვის. როცა ამ კვირის დამდეგს ანგოლის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის გამცემლური მოქმედება მოსახლეობისა და ანგოლის განთავისუფლებისათვის სახალხო მოძრაობის რაზმების საკადრის წინააღმდეგობას წააწყდა, ხ. რობერტო დაემუქრა, რომ ანგოლის დედაქალაქის ლუანდისაკენ დაძრავდა თავის 20 ათასიან არმიას, რომელიც ჩვეულებრივ ზაირშია განლაგებული. დასავლეთის საგაზეთო ცნობების თანახმად, ხ. რობერტოს მხედრიონი ვაწვრთნილი ჰყავთ ჩინელ ინსტრუქტორებს და აღჭურვილია ჩინური იარაღით.

ამ ცოტა ხნის წინათ ოჰანესბურგის გაზეთმა „სტარმა“ აღიარა, რომ „ანგოლის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის რაზმებს, რომლებიც გაიფთრებით ესხვიან თავს ანგოლის განთავისუფლებისათვის სახალხო მოძრაობას, თეთრკანიანი ბაქრარავებელები ხელმძღვანელობენ“. მათ მხარეზე იბრძვიან აგრეთვე სალაზარის საიდუმლო პოლიციის პიდეს ყოფილი აგენტები და ჯირნი, რომლებიც „ჩილეში მუშაობენ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსათვის“. ისინი ყველანი იბრძვიან ანგოლის განთავისუფლებისათვის სახალხო მოძრაობის წინააღმდეგ, რადგან, როგორც ცნობილი ინგლისელი აფრიკისმცოდნე ბ. დეგედსონი წერს, — პროგრესული ანგოლის დაბადება ნიშნავს რეაქციული და ნეოკოლონიალისტური რეჟიმების აღსასრულს მის მეზობელ ქვეყნებში“.

შემთხვევითი არ არის არც ის, რომ მემარჯვენეთა გაააქტიურება ანგოლაში დროის მიხედვით დამთხვა პორტუგალიის სამინაოპოლიტიკური სიტუაციის გართულებას. ბევრი რამ მოწმობს, რომ საერთაშორისო რეაქცია ცდილობს ჩამოაშოროს პორტუგალიის დემოკრატიული ძალები საკუთარი პრობლემების გადაწყვეტას, ჩაითრიოს მისი შეიარაღებული ძალები საომარ ოპერაციებში ანგოლის წინააღმდეგ, გამოიწვიოს ეკონომიური სიძნელეები მეტროპოლიაში. როგორც პორტუგალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ა. ბუნიალმა განაცხადა, „არსებობს საეჭვოხე, რომ ანგოლას გადააქცევენ ჩრდილ ბუდედ, სადაც თავს მოიყრიან რეაქციული ძალები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან პორტუგალიის მთელ ახალგაზდა პოლიტიკას“.

(საკდესი).

კარიკატურა უცხოეთში

ჩილეს სანხედრო-ფაშისტური რეჟიმი სასტიკად უსწორდება პატრიოტებს. მათ ამწყვდევენ დილეგებში, საკონცენტრაციო ბანაკებში, აწამებენ, აშიმშილებენ, რათა გაუქარწყლონ იმის რწმენა, რომ ჩილელი ხალხი საბოლოოდ მაინც დამარცხებს ფაშიზმს.

ხალახალი აღზრდა. (მავთულხლართზე ასეთი წარწერაა: „ხუნტა — ეს არის თავისუფლება და დემოკრატია“).

ეროვნული

სსრ კავშირის ხელშეკრულებით

ბაღდადი, (საკდესი). წარმატებით ვითარდება საბჭოთა კავშირ-ერაყის თანამშრომლობა ენერგეტიკის დარგში.

რამდენიმე წლის წინათ ერაყის ხელმძღვანელობამ შეიმუშავა 25 წლისათვის გათვალისწინებული ელექტრიფიკაციის გეგმა. იგი ითვალისწინებს ერთიანი ენერგეტიკული სისტემის შექმნას.

მომდინარე წლის გაზაფხულზე ნასირიაში საძირკველი ჩაეყარა 840 ათასი კილოვატი სიმძლავრის ელექტროსადგურს, რომელიც უდიდესია ქვეყანაში. ეს ელექტროსადგური სსრ კავშირის ტექნიკური ხელშეწყობით აგება. მალე ეს სადგური უფრო მეტ ელექტროენერგიას აწარმოებს, ვიდრე ამჟამად მოქმედი ყველა ელექტროსადგური ერთად.

ამჟამად მთავრდება ბასტრაში 200 ათასი კილოვატი სიმძლავრის „ნაჯიბიის“ თბოელექტროცენტრალის ამოშავებასთან დაკავშირებული სამუშაოები.

კვიპროსი

მაკარიოსი

ნიკოზია, (საკდესი). კვიპროსის პრეზიდენტმა არქიეპისკოპოსმა მაკარიოსმა მიიღო საბჭოთა დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის რ. გამზატოვის მეთაურობით, რომელიც მონაწილეობდა კვიპროსის რესპუბლიკასთან ხელიდარობის საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში.

კვიპროსის პრეზიდენტმა გულთბილად მოიგონა თავისი მოგზაურობა საბჭოთა კავშირში 1971 წელს და მაშინ მოსკოვში ეამართული შეხვედრა საბჭოთა ხალხთან.

საუბარში პრეზიდენტმა მაკარიოსმა დიდად შეაფასა საბჭოთა კავშირის პოზიცია კვიპროსის საკითხში და ნათელი და მკაფიო უწოდა მას, პრეზიდენტმა კვლავ დაუჭირა მხარი საბჭოთა წინადადებას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით კვიპროსის საკითხზე წარმომადგენლობითი საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ.

მაკარიოსმა მადლობა გადაუხადა საბჭოთა ხალხს, რომელიც სოლიდარობით ეკიდება კვიპროსელთა ბრძოლას კვიპროსის დამოუკიდებლობისა, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად.

განიხილეს ქვეყნის მდგომარეობა

ნიკოზია, (საკდესი). აქ გაიმართა კვიპროსელ ბერძენთა და თურქთა თემების წარმომადგენლების გ. კლირიდისისა და რ. დენქტაშის შეხვედრა. როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრესსამსახური იუწყება, მათ განიხილეს მთელი რიგი ჰუმანიტარული საკითხები. დენქტაშმა კვიპროსში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის მეშვეობით ბერძენთა მხარეს გადასცა წინადადებანი კვიპროსის მომავალი ცენტრალური მთავრობის ფუნქციებისა და რწმუნებათა შესახებ.

იმავე დღეს კვიპროსის პრეზიდენტის მაკარიოსის თავმჯდომარეობით გაიმართა ეროვნული საბჭოსი და მინისტრთა საბჭოს გაერთიანებული სხდომა. როგორც სპეციალურ კომუნიკეშია ნათქვამი, გაერთიანებულ სხდომაზე განიხილეს კვიპროსის პრობლემაზე ვენის მოლაპარაკების მესამე ეტაპთან დაკავშირებული საკითხები. როგორც პრესა იუწყება, ამ სხდომაზე თურქთა მხარის წინადადებანი ცენტრალური მთავრობის ფუნქციების შესახებ მიუღებლად ცნეს.

გ. კლირიდისი და რ. დენქტაში ვენაში მიფრინავენ მოლაპარაკების განსაგრძობად.

ერაყი

სსრ კავშირის ხელშეკრულებით

ბაღდადი, (საკდესი). წარმატებით ვითარდება საბჭოთა კავშირ-ერაყის თანამშრომლობა ენერგეტიკის დარგში.

რამდენიმე წლის წინათ ერაყის ხელმძღვანელობამ შეიმუშავა 25 წლისათვის გათვალისწინებული ელექტრიფიკაციის გეგმა. იგი ითვალისწინებს ერთიანი ენერგეტიკული სისტემის შექმნას.

მომდინარე წლის გაზაფხულზე ნასირიაში საძირკველი ჩაეყარა 840 ათასი კილოვატი სიმძლავრის ელექტროსადგურს, რომელიც უდიდესია ქვეყანაში. ეს ელექტროსადგური სსრ კავშირის ტექნიკური ხელშეწყობით აგება. მალე ეს სადგური უფრო მეტ ელექტროენერგიას აწარმოებს, ვიდრე ამჟამად მოქმედი ყველა ელექტროსადგური ერთად.

ამჟამად მთავრდება ბასტრაში 200 ათასი კილოვატი სიმძლავრის „ნაჯიბიის“ თბოელექტროცენტრალის ამოშავებასთან დაკავშირებული სამუშაოები.

პორტუგალია

პორტუგალიის კომპარტიის განცხადება

◆

ციური პროცესი და პროვოკაციულად გამოეწვია მკვეთრი შემობრუნება პორტუგალიის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

დიდად სამწუხაროა, აღნიშნავს პორტუგალიის კომპარტია, რომ სოციალისტური პარტიის ლიდერები ახორციელებენ პოლიტიკას, რომელიც ისახავს იმავე მიზნებს, რასაც რეაქციის პოლიტიკა. სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობა პირს კრავს რეაქციულ და კონსერვატიულ ძალებთან რევოლუციური და პროგრესული ძალების წინააღმდეგ, უწინარეს ყოვლისა შეიარაღებული ძალების მოძრაობის წინააღმდეგ. პორტუგალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტკომისია აცხადებს, რომ კომუნისტებთან და სხვა მარცხენე ძალების წარმომადგენლებთან სოციალისტთა მშიდრო თანამშრომლობა რევოლუციური პროცესის განმტკიცებისა და პორტუგალიის რევოლუციის საბოლოო გამარჯვების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი იქნებოდა.

პორტუგალიელი კომუნისტები ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ რეაქციის კვლავ აქვს შესაძლებლობანი მანევრებისათვის და შეეცდება აღიდგინოს დაკარგული პოზიციები.

რაც შეიძლება მალე შეიქმნას მთავრობა, რომელიც უზრუნველყოფს დემოკრატიული და პროგრესული პოლიტიკის განხორციელებას, სახელმწიფო ხელისუფლების ავტორიტეტის პატივისცემას, — ეს საარსებოდ საჭირო პირობა, რათა ვაიძულოთ რეაქცია უკან დაიხიოს და განამტკიცოთ რევოლუციური პროცესი, ხაზგასმულია განცხადებაში.

პორტუგალიის კომპარტია მოქმედებს ერთიანობისათვის მოუწოდებს ყველას, ვისაც არ სურს პორტუგალია დაებრუნდეს ფაშისტურ წარსულს, ვისაც სურს იცხოვროს თავისუფლების პირობებში, განამტკიცოს დემოკრატიული წყობილება, უზრუნველყოს ეროვნული დამოუკიდებლობა, ვინც მხარს უჭერს პორტუგალიაში ღრმა სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნებს სოციალიზმისაკენ მიმავალ გზაზე.

ერაყი

ნიკოზია, (საკდესი). ერაყის მთავრობა ეროვნული საბჭოს ერთობლივ სხდომაზე ეხებოდა ეროვნული ფრონტის ბოლოდროინდელ ინიციატივებს, ეროვნული ფრონტის ლიდერ ბ. ალ-ბაქრის ინიციატივებს, ეროვნული ფრონტის ლიდერ ბ.

სტარტს ილებს ახალგაზრდობა



ვ. პეტროვის უშინაკის სახელობის № 1 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში, სადაც 960-მდე ახალგაზრდა სწავლობს, ფართოდ არის გაშლილი მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა. სხვადასხვა სექციებში გაერთიანებულია 750 მოსწავლე. აქ შეხვდებით სპორტის ოსტატებსაც და პირველ თანრიგოსნებსაც, 315-მა ახალ გაზრდამ უკვე ჩააბარა მშთ-ს ნორმატივები, ბევრმა შათგანმა იქრობა და ვერცხლის სამკერდე ნიშანი მიიღო.

ხურათზე: პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები რ. ხაჩატურიანი, ა. ტარანი, ა. ბუნდა და ა. დათებაშვილი აკადემიურ ნიჩბოსნობაში ვარჯიშის დროს.

მ. ლეონიძეშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ლუჟნიკი მძლეოსანთა მოლოდინში

უკანასკნელი სტარტები

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადას ფინიში აქვს. ტურნირებში, რომლებიც უკვე ოთხ თვეზე მეტია გრძელდება, უკანასკნელი სიტყვა „სპორტის დედოფალს“ — მძლეოსნობას ეკუთვნის. ყოველ დიდ შეჯიბრებაში წამყვანი ადგილი მძლეოსნობას ეთმობა. ასევე სპარტაკიადაზეც. ყველაზე მეტი ქულა (5.124) სწორედ ამ სახეობისათვის არის განკუთვნილი. ამიტომ მძლეოსანთა ტურნირზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.

ლუჟნიკი, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი უმასპინძლებს მძლეოსნებს, აქვე განაწილდება სახპარტაკიადო მედლების უკანასკნელი კომპლექტები.

როგორია მძლეოსანთა მომავალ ტურნირზე საქართველოს სპორტსმენთა პერსპექტივები?

ასეთი კითხვით მიმართა ჩვენმა კორესპონდენტმა საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარ მწვრთნელს მძლეოსნობაში ა. მჰედლიშვილს.

ეი რა გვიპასუხა მან:

— ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა მიძნელდება. მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თითქოს ხელი ჩაქნეული გვქონდეს, პირიქით, საქართველოს ნაკრების წევრები, მწვრთნელები სპორტული ბრძოლისათვის არიან განწყობილნი.

აქ მინდა ასეთი შენიშვნა გავაკეთო. სახპარტაკიადო ტურნირებში ყოველ გუნდს შეუძლია გამოიყვანოს 78 სპორტსმენი. ჩვენს განაცხადში კი მხოლოდ 30 კაცია. ფავორიტებად მიმაჩნია რსფსრ-ის, უკრაინის, მოსკოვის, ლენინგრადის, ბელორუსიისა და ყაზახეთის გუნდები. ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, ჩვენი ნაკრების მთავარი მეტოქეა და ქულათა თვალსაჩინო რაოდენობითაც გვესწრებს.

თუ ავიღებთ გასული წლის მონაცემებს, აგრეთვე წლევანდელი ტურნირების შედეგებს, ყაზახეთის მძლეოსანთა წარმატებანი თვალსაჩინოა. მათ შეუძლიათ კარგი შედეგები მოიპოვონ ქალთა შორის 800 მეტრზე რბენაში, 100 მეტრზე თარჯრბენში, „ვაკეთათვის სპორტული სიბრალულით 50 კილომეტრზე, 10.000 მეტრზე რბენაში, სიმაღლეზე ხტომაში და სხვა სახეობებში.

საქართველოს ნაკრებმა დაამთავრა შეკრება პოდოლსკში და მზად არის სტარტისათვის. რა თქმა უნდა, სამხტომში ჩვენ იმედებს ვამყარებთ ვ. სანეევზე, ურის ტყოლინაში — ჯ. ფხაკაძეზე, თარჯრბენში — ა. მოშიაშვილზე, ბოკით სიმაღლეზე ხტომაში — მ. თათევოსიანზე, არიან სხვებიც, რომელთაგან ცუდ შედეგებს არ უნდა მოველოდეთ.

დავუცადოთ დიდ სტარტებს, ფინიშიც ხომ 31 ივლისს იქნება.

ფეხბურთი

16 ტურის შემდეგ

ერთი კვირის წინ სსრ კავშირის თასის გათამაშების ნახევარფინალში ვოროშილოვგრადის „ზარიამ“ დამარცხა ცსკა-ს გუნდი 2:1. უფრო ადრე კი, საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის მატჩში თავის მოედანზე „ზარიამ“ მოუგო არმიელებს ანგარიშით 1:0. და აი, გუშინ ეს გუნდები მესამედ შეხვდნენ ერთმანეთს, ამჯერად მოსკოვში „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე, ეს იყო გათამაშების მეორე წრის პირველი ტურის ბოლო მატჩი. ანგარიშით 4:0 გიმარჯვეს არმიელებმა.

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასის უმაღლესი ლიგა
მდგომარეობა 23 ივლისისათვის

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ კ.	10	3	3	31-13	23
„დნეპრი“	7	5	4	24-19	19
„შახტიორი“	7	4	5	26-18	18
„დინამო“ მ.	6	6	4	15-12	18
„არარატი“	8	2	6	19-19	18
„კარპატი“	5	7	4	21-18	17
„დინამო“ თბ.	5	[illegible]	[illegible]	20-18	17
„ზარია“	6	5	5	20-21	17
„ჩერნომორ.“	6	5	5	16-18	17
ცსკა	5	6	5	20-16	16
„სპარტაკი“	5	6	5	14-14	16
„ლოკომოტ.“	4	7	6	14-17	15
„ტორპედო“	4	6	6	20-20	14
„პახტაკორი“	5	4	7	17-22	14
„ზენიტი“	4	3	9	14-27	11
ხკა	2	2	12	12-29	6

ინტერვიუ ფინალისტებთან

პირველ ტურში: ლენინგრადი — საქართველო

რიგა. 22 ივლისი. ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი გ. გამრეკელი ტელეფონით გვატყობინებს:

ქვეჯგუფებში წინასწარი შეხვედრების დამთავრების შემდეგ მოეწყო ფინალისტთა წილისყრა, პირველ ექსკლუზიურ მონაწილეებმა ასეთი ნომერაცია მიიღეს: 1. ლენინგრადი, 2. საქართველო, 3. ლატვია, 4. მოსკოვი, 5. უკრაინა, 6. რსფსრ.

დღეს პირველ ტურში საქართველოს მოჭადრაკეები ხვდებიან ლენინგრადის ნაკრებს. მოვაწყეთ ინტერვიუ ფინალისტებთან. ეს რა გვითხრეს მათ:

ა. კარპოვი (ლენინგრადი) — ჩვენ ვიბრძვით მედლებისათვის. თუ რა ხარისხის იქნება ეს მედლები, ამას მომავალი გვიჩვენებს.

ლ. პოლუგაევსკი (რსფსრ) — სატურნირო ბედმა თუ გაგვიღიმა, ოქროს მედლებისაკენ ვისწრაფვით. ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, მეორე ადგილი უფრო შეგვფერება.

ვ. ხმელნოვი (მოსკოვი) — მხოლოდ პირველი ადგილისათვის ვიბრძვით.

ვ. ტუკმაკოვი (უკრაინა) — რა თქმა უნდა, მიზანი სპორტი ადგილებია, სინამდვილეში რისი ღირსნი ვართ, ამას ტურნირი გვიჩვენებს.

ა. გიპსლისი (ლატვია) — ჩვენ უკვე ექვსეულში ვართ და ამითაც კმაყოფილებას გამოვთქვამთ.

ნ. გაფრინდაშვილი — პროგრამა-მინიმუმი შეესრულეთ, წინ ხომ ბრძოლებია, შეეცადებით უკეთესად ვითამაშოთ.

ჩემპიონი ერთი ტურით ადრე

საქართველოს კალათბურთელებს — ბრინჯაოს მედლები

კიევი. 22 ივლისი. ჯერ კიდევ ერთი ტურით ადრე ცნობილი გახდა სპარტაკიადის ნემპიონი კალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. ეს მაღალი ტიტული მოიპოვეს მოსკოველებმა, რომლებსაც არცერთი შეხვედრა არ წაუგიათ.

უკანასკნელისწინა მატჩში მოსკოველებმა დაამარცხეს ლატვიის გუნდი ანგარიშით 93:63 (48:30).

ლენინგრადელებმა მოუგეს უკრაინის გუნდს 84:73 (36:30) და საქართველოს გუნდთან ერთად 3 ქულით ვერცხლის მედლის პრეტენდენტები გახდნენ.

თუ ვინ გახდებოდა მეორე პრიზიორი, ეს საკითხი უნდა გადაეწყვიტა ლენინგრადისა და საქართველოს ნაკრებთა დღევანდელ მატჩს.

ეს შეხვედრა ლენინგრადელებმა მოიგეს ანგარიშით 93:76 (44:25) და ვერცხლის მედლები მოიპოვეს. საქართველოს კალათბურთელებმა ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს და 54 ქულა ჩაიწერეს აქტიგში.

რამდენი მედალია ჩვენს ყულაბაში?

სპორტის მოყვარულებს ალბათ ინტერესებთ, როგორია საქართველოს სპორტსმენთა მიერ მოპოვებული მედლების რაოდენობა, რა ხარისხისა ისინი და ვის ეკუთვნის.

დღეისათვის რესპუბლიკის სასპარტაკიადო ყულაბაში 64 მედალია. აქედან ოქროსი — 7 (მათ შორის 2 მცირე), 16 ვერცხლის (1 მცირე) და 41 ბრინჯაოსი (3 მცირე).

ეი ვინ მოიპოვა ეს მედლები:

ოქროსი — ი. ომელჩენკომ (ცურვა), თ. იმნაიშვილმა (სასტენდო სროლა), ი. მაღალაშვილმა (სამმო), რ. ხარშილაძემ და ჯ. ნიეარაძემ (ძიუ-დო), მცირე მედლები — პ. შამუგიამ (სპორტული ტანვარჯიში), ვ. გონჩაროვმა (თანამედროვე ხუთჭიდი, ცურვა).

ვერცხლის — ი. გოროდილოვმა (კრივი), ი. ომელჩენკომ (ცურვა), ჯ. ნიეარაძემ (ძიუ-დო), რ. ტარკილმა (ძალოსნობა, მანვე მოიპოვა მცირე მედალი ატაკაში), ლ. თედიაშვილმა და ნ. მოდებაძემ (თავისუფალი ჭიდაობა), ქალთა რვიანმა (აკადემიური ნიჩბოსნობა, მეორე ჯგუფი).

ბრინჯაოსი — ვ. ულიანიჩმა (კრივი), ქ. ლოსაბერიძემ (მძიგლდოსნობა), ა. ოქროპირიძემ, რ. ოდიშელიძემ (სამმო), გ. ონაშვილმა, გ. ხუბულურმა, შ. ჩოჩიშვილმა, დ. ხაბულიანმა, შ. ფიცხელაურმა (ძიუ-დო), შ. მორჩილაძემ (კლასიკური ჭიდაობა), ხელბურთელ ვაჟთა გუნდმა (12 მოთამაშე), აკადემიურ ნიჩბოსნობაში (მეორე ჯგუფი. ორიანი გასაშლელი მესაჭით, ვაჟთა შორის) — სამმა კაცმა. გ. ნიკურაძემ (აკადემიური ნიჩბოსნობა, რვიანი, ვაჟები), დ. შანიძემ (ძალოსნობა, მცირე ბრინჯაო), პ. შამუგიამ, ვ. კვეკლიშვილმა (სპორტული ტანვარჯიში, თავისუფალი ღერძზე ვარჯიში. მცირე ბრინჯაოს მედალი), კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა (12 კაცი).

„საბჭოთა ხელოვნება“ № 7

ბევრ საინტერესო მასალას გაეცნობა მკითხველი ეჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მე-7 ნომერში, რომელიც ახლახან გამოვიდა.

ნომერი იხსნება ვრცელი მეთაური წერილით „სკკპ XXV ყრილობის შესახვედრად“. ეჟურნალში გამოქვეყნებულია წერილები, სტატიები და რეცენზიები ხელოვნების სხვადასხვა საკითხზე, კერძოდ რ. ლაღიძის ოპერა „ლელას“ დადგმაზე, თბილისში ერევნის დრამატული თეატრის გასტროლებზე, რეჟისორ ა. ტოვსტონოგოვის სპექტაკლებზე, 1974 წლის ქართულ ფილმებზე, ქართული მულტიბლიკაციური ფილმების პრობლემებზე, სოფრომ მგალობლიშვილზე, როგორც მსახიობზე, რეცენზია ახალ წიგნებზე, საზღვარგარეთული ხელოვნების ზოგიერთ „აკითხვებზე თეორიული ხასიათის წერილები და ქრონიკა.

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

თბილისის ინდუსტრიულ-პედაგოგიური ტექნიკუმი



აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1975-1976 სასწავლო წლისათვის

დღის მიღება იწარმოებს შემდეგ სპეციალობებზე:

1. ლითონების ჭრით დამუშავება (ქართული სექტორი)
2. სამრეწველო მოწყობილობანი მონტაჟი და რემონტი (ქართული, რუსული სექტორი)
3. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა (ქართული სექტორი)
4. შენობების ხანტექნიკური მოწყობილობა (რუსული სექტორი)
5. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია (ქართული სექტორი)

ტექნიკუმში მიიღებიან 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდები, რომლებსაც აქვთ საშუალო განათლება, შესაბამისი სპეციალობა, საჭირო კვალიფიკაცია და პედაგოგიური საქმიანობისადმი მიდრეკილება. მათ შორის: საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულები, მუშები სპეციალობის შესაბამისი მუშაობის სტაჟით, საშუალო პროფტექნიკური, ტექნიკური და პროფტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულები საწარმოო სტაჟით ორისა-ნაკლები ერთი წლისა, ხოლო ვინც 1975 წელს დაამთავრა წარჩინებით პროფესიულ-ტექნიკურ და ტექნიკური სასწავლებლები, საწარმოო სტაჟის გარეშე.

მახალებ გამოცდებზე დაიშვებიან: ლითონების ჭრით დამუშავების სპეციალობაზე — ხარატები, მღარავები საწარმოო კვალიფიკაციით, არა ნაკლებ მესამე თანრიგისა.

სამრეწველო მოწყობილობის მონტაჟისა და რემონტის სპეციალობაზე — სამრეწველო მოწყობილობის შემკეთებელი ზეინკლები, არა ნაკლებ მესამე თანრიგისა.

სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობაზე — ხეროვები, დურგლები, კალატოზები, კონსტრუქციის მიმონტაჟე-კალატოზები, შემლესავ-მღებავები, არა ნაკლებ მესამე თანრიგისა.

შენობების ხანტექნიკური მოწყობილობის სპეციალობაზე — ზეინკალ-სანტექნიკოსები, ზეინკალ-მგლინავები, ზეინკალ-მევენტილიატორეები, არა ნაკლებ მესამე თანრიგისა.

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სპეციალობაზე — მეორე, ან სამეურნეოდ (ოთხ-ექვსი მანქანები), ავტომანქანების, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების და ტრაქტორების მემკვეთებელი ზეინკლები (მეორე თანრიგის, სატრაქტორო სამინდვრო ბრიგადის ბრიგადირები, სამანქანო სტრაქტორო პარკების ტექნიკური მომსახურეობის ოსტატ-მომწყობები.

ტექნიკუმში შემსვლელები გამოცდებს აბარებენ: 1. საკვალიფიკაციო სინჯს (შესაბამის სპეციალობაში), 2. შუბლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა), 3. მათემატიკა (ზეპირი).

ტექნიკუმში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. განცხადება დირექტორის სახელზე (ფორმა № 2), 2. ატესტატი საშუალო განათლების შესახებ — დედანი, 3. ატესტატი პროფესიულ-ტექნიკური ან ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შესახებ, პროფტექგანათლების ორგანოების მიერ მიმართვა, მოსწავლის სასწავლებლად გაგზავნის შესახებ. 5. საგამოცდო ფურცელი, ან ფინანსურ-ეკონომიკურ მუშაკთა ტექნიკუმის (ლენინგრადი, № 286), 7. ფოტოსურათი ზომით 3X4 (გადაღებული ბოლო 6 თვის განმავლობაში) — 8 ცალი. 8. ცნობა [illegible] შესახებ, 9. დაბადების მოწმობა ან პასპორტი, სამხედრო ბილეთის ან მიწერის მოწმობას და შრომის წიგნაკს ტექნიკუმში შემსვლელი ადგილს პირადად.

ხაბუთების მიღება იწარმოებს 31 ივლისამდე. ხოლო მიხალები გამოცდები მოეწყობა 15-დან 25 აგვისტომდე.

15 მაისიდან დაიწყო მოსამზადებელ კურსებზე მეცადინეობა. თბილისის ინდუსტრიულ-პედაგოგიურ ტექნიკუმში (ორჯონიკიძის ქ. № 49) ჩარიცხული მოსწავლეები უზრუნველყოფილნი იქნებიან კვებით, ტანსაცმლით და სტიპენდიით, სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

ტექნიკუმის მისამართი: თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 49. ტელეფონი: 95-15-51, 95-86-52, 95-34-85.

დირექცია.

ტექნიკუმი ამზადებს ტოპოგრაფებს, გეოდეზისტებს, კარტოგრაფებს და საინჟინრო გეოდეზიის ტექნიკოსებს სპეციალიზებული ორგანიზაციებისა და საპროექტო კვლევითი ინსტიტუტებისათვის. ტექნიკუმს აქვს ორი სექტორი ქართული და რუსული. **პირველ კურსზე მიიღებიან:** არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, **მეორე კურსზე** — საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი. პირველ კურსზე ჩარიცხულთათვის სწავლის ხანგრძლივობა 3 წელიწადი და 9 თვე, მეორე კურსზე ჩარიცხულთათვის — 2 წელიწადი და 9 თვე.

განცხადებები პირველ კურსზე მიიღება 31 ივლისამდე, **მეორე კურსზე** 14 აგვისტომდე.

მახალები გამოცდები დაიწყება 1-დან 20 აგვისტომდე. **სწავლა** დაიწყება 1 ოქტომბერს.

პირველ კურსზე შემსვლელნი გამოცდებს აბარებენ: მათემატიკაში (ზეპირი), დიქტაციაში (წერა-კარნახი). მეორე კურსზე: მათემატიკაში (ზეპირი), დედანასა და ლიტერატურაში (წერა-თხზულება).

მოსწავლეებნი, რომლებიც წარმატებით ისწავლიან სამხედრო კათედრაზე, მიენიჭებათ თადარიგის ოფიცრის წოდება. ჩარიცხული მოსწავლეები მიიღებენ სტიპენდიას. რაიონიდან ჩამოსულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით შეძლებისდაგვარად.

ტექნიკუმში შემსვლელებმა განცხადება უნდა შეიტანონ დირექტორის სახელზე და წარადგინონ შემდეგი საბუთები: 1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. საექიმო ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286), 3. დახასიათება სკოლიდან (ან სამსახურიდან) და შრომის წიგნაკის ამონაწერი, 4. 6 დამოწმებული ფოტოსურათი (ზომით 3X4) და 4 ფოტოსურათი (ზომით 6X9); შემსვლელნი პირადად წარმოადგენენ დაბადების მოწმობას ან პასპორტს, სამხედრო ბილეთს ან სამხედრო მიწერის მოწმობას. შემსვლელთათვის ტექნიკუმთან გაიხსნება მოკლეადიანი მოსამზადებელი კურსები. ტექნიკუმის მისამართია: ●. ჭავჭავაძის პრსპ. № 25. ტელეფონი 22-30-33.

თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1975-76 სასწავლო წლისათვის

ტექნიკუმში მიიღებიან: 1. საბუნდო კოლექტივის დირიჟორი; 2. ქორეოგრაფიული კოლექტივის ხელმძღვანელის (ქართული ხალხური და თანამედროვე სამეჯლისო ცეკვები.); 3. საკლუბო ლონისძიებათა რეჟისორის სპეციალიზაციით.

სასწავლებელში მიიღებიან მხოლოდ კულტურის განყოფილების მიერ წარმოგზავნილნი საშუალო განათლების მქონე მოჭალაქენი 30 წლის ასაკამდე. სასწავლებელში შესვლის მსურველებმა მისაღები გამოცდები უნდა ჩააბარონ სპეციალობაში, ქართულ წერასა და სსრკ ისტორიაში.

სასწავლებელში ჩარიცხვის უპირატესი უფლებებით სარგებლობენ: ა) საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულნი. ბ) საშუალო სკოლადამთავრებული ოქროს და ვერცხლის მედალოსნები, გ) ის პირნი, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე 2 წლის სტაჟი და მუშაობენ სასწავლებელში შემოსასვლელად არჩეული სპეციალობით.

სასწავლებელში შესვლის მსურველებმა სასწავლებლის დირექტორის სახელზე უნდა შემოიტანონ განცხადება და წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286), 3. 4 ფოტოსურათი (3X4 სმ. ზომის), 4. პასპორტი და სამხედრო ბილეთი (ან მიწერის მოწმობა) წარმოდგენილი უნდა იქნას პირადად. 5. შრომის წიგნაკიდან ამონაწერი.

განცხადებები მიიღება — 1975 წლის 1 აგვისტომდე.

კონსულტაციები იწარმოებს 2, 3 და 4 აგვისტოს.

მისაღები გამოცდები — 5 აგვისტოდან. სასწავლებელში მიღებულნი უზრუნველყოფილნი იქნებიან სტიპენდიით (საერთო წესით).

სწავლის ხანგრძლივობა 2 წელი და 4 თვე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სასწავლებლის კანცელარიაში — ქ. თბილისი, კალინინის 88, ტელეფონები: 95-26-47; 95-30-84; 95-29-93.

ცეკავშირის თბილისის კოოპერაციული ტექნიკუმი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1975-76 სასწავლო წლისათვის დღის განყოფილებაზე

მიიღებიან არასრული საშუალო და საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი 30 წლის ასაკამდე შემდეგ სპეციალობებზე: 1. სამრეწველო საქონლის საქონელმცოდნეობა და ვაჭრობის ორგანიზაცია, 2. სასურსათო საქონელმცოდნეობა და ვაჭრობის ორგანიზაცია, 3. სოფლის მეურნეობის პროდუქტების საქონელმცოდნეობა და დამზადება, 4. ბუღალტრული აღრიცხვა, 5. ვაჭრობის ორგანიზაცია და მართვა.

პირველ კურსზე მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი და აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში — წერა (რუსულ სექტორზე რუსულ ენასა და ლიტერატურაში — წერა კარნახით), 2. მათემატიკაში — ზეპირი.

მესამე კურსზე მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი და აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში:

ა) **საქონელმცოდნეობისა და ტექნოლოგიის სპეციალობებზე:** 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (რუსულ სექტორზე — რუსულ ენასა და ლიტერატურაში) წერა, 2. ქიმიაში — ზეპირი.

ბ) **საბუღალტრო სპეციალობაზე:** 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (რუსულ სექტორზე — რუსულ ენასა და ლიტერატურაში) — წერა, მათემატიკაში ზეპირი.

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან:

ა) პირნი, რომლებმაც არასრული საშუალო სკოლა დამთავრეს ქების სიგელით (ფრიადოსნები) და რომლებსაც საშუალო სკოლა დამთავრებული აქვთ ოქროს ან ვერცხლის მედალზე, პირნი, რომლებიც საშუალო სკოლის დამთავრებისას დაჯილდოვებულნი არიან ქების სიგელით „ცალკეული საგნების შესწავლაში განსაკუთრებული წარჩინებისათვის“, თუ ამ საგნებში ტარდება მისაღები გამოცდები.

ბ) სსრკ შეიარაღებული ძალების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების და ორგანოების ოფიცრები, პაპორშჩიკები და მიჩმანები, რომლებიც დათხოვნილნი არიან სამხედრო სამსახურიდან თადარიგში (დათხოვნიდან ორი წლის განმავლობაში).

კონკურსგარეშე მისაღებ გამოცდებზე დაებმითი ნიშნების მიღების შემთხვევაში ჩარიცხებიან: პირნი, რომლებიც ტექნიკუმში მოავლენენ კოოპერაციულ მუშაობის სულ მცირე 2 წლის სტაჟის მქონენი და პირნი, რომლებიც დიმობილიზებულნი არიან სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან.

განცხადების მიღება: დღის განყოფილების პირველ კურსზე 31 ივლისამდე, **მეორე კურსზე** 15 აგვისტომდე, **დაუსწრებელ განყოფილებაზე** 10 აგვისტომდე.

მისაღები გამოცდები იწარმოებს: **დღის განყოფილებაზე** 1 აგვისტოდან 21 აგვისტომდე, (ჩარიცხვა 22-დან 24 აგვისტომდე) **დაუსწრებელ განყოფილებაზე** **მისაღები გამოცდები იწარმოებს** 10 აგვისტოდან 20 აგვისტომდე, (ჩარიცხვა 21-დან 31 აგვისტომდე).

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა № 286) 3. შრომის ან საკოლმეურნეო წიგნაკიდან ამონაწერი (შრომითი სტაჟის მქონენი პირნი) დადასტურებული ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ. 4. მოვლენება კოოპერაციული ორგანიზაციის მიერ, 5. ოთხი ფოტოსურათი 3X4 სმ შემოწმებული.

დასწრებულ განყოფილებაზე შემსვლელებმა ტექნიკუმში გამოცხადებისას პირადად უნდა წარმოადგინონ: დაბადების მოწმობა ან პასპორტი, ხოლო გასაწვევი ასაკის პირებმა ან სამხედროვალდებულებმა სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა.

სწავლის ხანგრძლივობა დღის განყოფილების პირველ კურსზე ჩარიცხულთათვის 3 წელი, მეორე კურსზე ჩარიცხულთათვის 2 წელი, ვაჭრობის ორგანიზაციისა და მართვის სპეციალობაზე 2 წელი და 6 თვე.

დაუსწრებელი განყოფილების პირველ კურსზე ჩარიცხულთათვის 4 წელი, მესამე კურსზე ჩარიცხულთათვის 2 წელი.

ტექნიკუმის დღის განყოფილებაზე ჩარიცხულთ დაენიშნებათ სტიპენდია **საერთო წესით**, მოსწავლეების **ნაწილი** უზრუნველყოფილი იქნება **საერთო** საცხოვრებლით.

განიხილება შემოტანილი უნდა იქნეს ტექნიკუმის დირექტორის სახელზე სპეციალობის აღნიშვნით.

მეცადინეობა დაუსწრებულ განყოფილებაზე დაიწყება 1 სექტემბერს.

ტექნიკუმის მისამართი: თბილისი. ვაჟა-ფშაველას პროსპექტი № 44, ტელეფონები: 37-18-03, 31-74-44, 37-18-74.

ტექნიკუმის დირექცია.



ტელევიზია

23 ივლისი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.15 — დილის ვარჯიში — ფერადი გადმოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის“, ფერადი გადმოსახულებით (გადმოცემა ლენინგრადიდან), 11.30 — პოლონური მხატვრული ფილმი „ყველაზე სამახსოვრო დღე ცხოვრებაში“. 12.20 — კონცერტი — ფერადი გადმოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან). 13.00 — ახალი ამბები ორბიტიდან. 17.05 — ბავშვებისათვის მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ქარიყლაპიას ბრძანებით“, 18.10 — მედიკოსთა შეხვედრა რუსთაველ მშრომელებთან, 19.10 — „პალიტრა“ ფერადი გადმოსახულებით, 19.40 — „ჩვენი რესპუბლიკის ხელოვნებიდან დღე“, 20.00 — სატელევიზიო სპექტაკლი „თავისუფლიანი დედაკაცი“ (საქართველოს ტელევიზიის დადგმა). 20.45 — კინონარკვევი, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა. 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ფერადი ფილმი-კონცერტი „გალინა ჰისარენკო“ პრემიერა (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.15 — ჩაიკოვსკის ბალეტი „ფრანჩესკა და რამინი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.40 — საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 24.00 — ახალი ამბები ორბიტიდან.

მეორე პროგრამით

18.05 — დოკუმენტური ფილმი „მოდრეიფე ჯუნეული“, 18.40 — „გაგუფრთხილდეთ შშობლიურ ენას“, 19.05 — განცხადებები, 19.10 — კინოპროგრამა, 20.00 — საბავშვო სატელევიზიო თეატრი „მზის ბალანი“. ფერადი გადმოსახულებით, 20.45 — მხატვრული ფილმი „რევოლუციით შობილნი“ (მესამე სერია).

რადიო

24 ივლისი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 11.05 — ქართული ხალხური მუსიკა, 12.15 — ბ. კვერნაძე. საფორტეპიანო პიესები, 12.25 — „სცენის ოსტატები“. 12.50 — ვ. გოკიელი, საორკესტრო პიესები, 17.15 — ი. ტუსია ნაწყვეტები ოპერა „სამშობლოდან“, 17.35 — მოსწავლეთათვის. „მეცხრე მთაც გადავიარე...“, 18.05 — გ. ცაბაძე. სიმღერები. 18.45 — საესტრადო კონცერტი. 19.00 — ხაუბარი „სკკპ XXIV ყრილობა კოლექტიური ხელმძღვანელობის სრულყოფის შესახებ“ 19.20 — რ. გაბიჩვაძე. ფრაგმენტები ბალეტ „ჰამლეტიდან“. 20.30 — მღერის ფ. ამირანაშვილი, 21.00 — „ძილისპირული“. 21.10 — რ. ინანიშვილი. „წისქვილი ქალაქის გარეუბანში“. რადიოდადგმა. 23.30 — საქართველოს სამღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტი, 23.55 უკანასკნელი ცნობები.

საქართველოს სსრ
კულტურის სამინისტრო

ქ. თბილისის
ს. ზაქარაიძის
სახელობის
კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელი

აცხადებს 1975-76 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა მიღებას.

სასწავლებელი ამზადებს კლუბის მუშაკებს: 1. საგუნდო კოლექტივის დირიჟორს; 2. ქორეოგრაფიული კოლექტივის ხელმძღვანელის (ქართული ხალხური და თანამედროვე სამეჯლისო ცეკვები.); 3. საკლუბო ლონისძიებათა რეჟისორის სპეციალიზაციით.

სასწავლებელში მიიღებიან მხოლოდ კულტურის განყოფილების მიერ წარმოგზავნილნი საშუალო განათლების მქონე მოჭალაქენი 30 წლის ასაკამდე. **სასწავლებელში** შესვლის მსურველებმა მისაღები გამოცდები უნდა ჩააბარონ სპეციალობაში, ქართულ წერასა და სსრკ ისტორიაში.

სასწავლებელში ჩარიცხვის უპირატესი უფლებებით სარგებლობენ: ა) საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულნი. ბ) საშუალო სკოლადამთავრებული ოქროს და ვერცხლის მედალოსნები, გ) ის პირნი, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე 2 წლის სტაჟი და მუშაობენ სასწავლებელში შემოსასვლელად არჩეული სპეციალობით.

სასწავლებელში შესვლის მსურველებმა სასწავლებლის დირექტორის სახელზე **უნდა** შემოიტანონ **განცხადება** და **წარმოადგინონ** შემდეგი **საბუთები:** 1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286), 3. 4 ფოტოსურათი (3X4 სმ. ზომის), 4. პასპორტი და სამხედრო ბილეთი (ან მიწერის მოწმობა) წარმოდგენილი უნდა იქნას პირადად. 5. შრომის წიგნაკიდან ამონაწერი.

განცხადებები მიიღება — **1975 წლის 1 აგვისტომდე.**

კონსულტაციები იწარმოებს **2, 3 და 4 აგვისტოს.**

მისაღები გამოცდები — **5 აგვისტოდან. სასწავლებელში** მიღებულნი **უზრ